რისკი №3

სცენარი - ქარიშხალი (ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობა)

სცენარი N3 რისკის მიხედვით: შენობა მდებარეობს ქ. ხობში. ცოტნე დადიანის 189-ში. შენობაში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მერია (I-III-IV სართულები), მუნიციპალიტეტის საკრებულო (II სართული), ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამსახურის ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი (III-სართული). ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა სამშენებლო ქვითა აშენებული და გადახურულია პროფილირებული თუნუქის ფურცლებით, სასხვენო გადახურვა წარმოადგენს ხის კონსტრუქციებს. შემოსავლელი სივრცე და სართულთაშორისი კიბეები მოპირკეთებულია მარმარილოთი. სართულების სიმაღლეა 3,70 მ. სართულთაშორისი გადახურვა: ფილა-ბეტონი. კარ-ფანჯარები დამზადებულია მეტალოპლასტმასით და მდფ-ის მასალით. შიდა ოთახების გამყოფი კედლები და ჭერი შეღებილი და შებათქაშებულია. გამონაკლისს წარმოადგენს მეორე სართულზე არსებული საკრებულოს დარბაზი და მეოთხე სართულზე განთავსებული მერის სამუშაო კაბინეტი, სადაც კედლებზე გადაკრულია ხის მასალა. სამუშაო ოთახების ძირითად ნაწილში, გასული საუკუნის 80-იან წლებში დაგებული პარკეტის იატაკია, გამონაკლისს წარმოადგენს რამდენიმე ოთახი, სადაც დაგებულია ლამინირებული პარკეტი. შენობა მე-III ხარისხის ცეცხლგამძლეობისა. შენობაში შეყვანილია წყალი და დენი. შენობა არ არის გაზიფიცირებული. ძლიერმა ქარიშხალმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს როგორც სახურავს, ასევე ნაგებობას. შესაბამისად, გადახდილი სახურავის ვარდნისგან, ან შენობის დაზიანებული ნაწილის ცვენისგან ზიანი მიადგეს შენობის შიდა ნაწილს, შენობით მოსარგებლე მოქალაქეებს, დასაქმებულებს, შენობის მიმდებარე პერიმეტრზე განთავსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მოსარგებლე პირებს.

საგანგებო სიტუაციის განვითარების სცენარის მიხედვით გასატარებელი ღონისძიებები

პ რ ე ვ ე ნ ც ი ა

პერიოდულად უნდა შემოწმდეს შენობის სახურავის ვარგისიანობა და მდგრადობა, გამოვლინდეს ადვილად დაზიანებადი წერტილები და მიღებულ იქნეს ტექნიკური ზომები დაზიანებული ადგილების აღმოფხვრის მიზნით. გეგმიურად უნდა მიმდინარეობდეს ქარიშხლის პროფილაქტიკური ღონისძიებები.

გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის N3 რისკის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე პირები	განხორციე-ლების ვადები	შენიშვნა
1.	შენობის სახურავის ვარგისიანობის და მდგრადობის შემოწმება, დაზიანებული ადგილების შეკეთება	მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი	აპრილი, სექტემბერი	

2.	სახურავის კონსტრუქციების მონიტორინგი და საწვიმარი მილების გამაგრება	მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი	ოქტომბერი	
3.	შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობის მონიტორინგის ორგანიზება (კომუნიკაციის, ნაგებობების, ელექტროობის, გაზის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება)	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	მუნიციპალიტეტის ტექნიკური პერსონალი	აგვისტო	

მ ზ ა დ ყ ო ფ ნ ა

მერიის თანამშრომლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ, თუ როგორ მოიქცნენ ქარიშხლის დროს. წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად ორგანიზება უნდა გაეწიოს ქარიშხლის საწინააღმდეგო საშუალებების მუდმივ მონიტორინგსა და სპეციალურ ტრენინგებს უსაფრთხოების სფეროში. ასევე, უზრუნველყოფილ უნდა იქნას კავშირგაბმულობის და შეტყობინების საშუალებების საიმედო ფუნქციონირება. ყოველწლიურად უნდა მოხდეს საგანგებო მართვის გეგმის განვითარება აღნიშნული რისკის ხელახალი შეფასების საფუძველზე.

გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის N2 რისკის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებაზე დამხმარე პირები	განხორციე-ლების ვადები	შენიშვნა
4.	მართვის, კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა	მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	სსს ,,სილქნეტი“, შპს ,,მაგთიკომი“	აპრილი	
5.	შენობიდან ევაკუაციის პრაქტიკული წვრთნა	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	ადმინისტრაციული სამსახური	ივნისი	
6.	საგანგებო შტაბის სამაგიდო წვრთნა	შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	მუნიციპალიტეტის მერია	მაისი	
7.	თეორიული მეცადინეობა თემაზე: „უსაფრთხო ქცევის წესები შენობაში ქარიშხლის დროს“	შსს საგანგებო სიტუაციების	ადმინისტრაციული	ნოემბერი	

		მართვის სამსახური	სამსახურის ხელმძღვანელი		
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
8.	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი	მუნიციპალიტეტის მერია	6 თვეში ერთხელ	

რ ე ა გ ი რ ე ბ ა

ხორციელდება შეტყობინება ქარიშხლის შესახებ „112“-ზე და სამაშველო დანაყოფების გამოძახება. დაუყოვნებლივ ვახდენთ თანამშრომლების უსაფრთხო ადგილას გადაყვანას, დაუყოვნებლივ უნდა გამოირთოს შენობაში შემავალი ელექტრო გაყვანილობა და გაზმომარაგება. უნდა შემოისაზღვროს შენობის გარე პერიმეტრი იმ საფრთხიდან გამომდინარე რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ქარიშხლისგან გადახდილი სახურავის ვარდნამ. შენობიდან ევაკუაციის გეგმა წარმოადგენს გრაფიკულ ნაწილს, რომელიც გამოკრულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილებზე, მისი ასლი თან ერთვის გეგმას (იხილეთ დანართი №18).

გასატარებელი რეაგირების ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის N2 რისკის მიხედვით

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განმახორციელებაზე ძირითადი პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განმახორციელებაზე დამხმარე პირები	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახება სატელეფონო ზარით „112“	ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი		დაუყოვნებლივ	
2	საევაკუაციო გზების შემოწმება	ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი		სთ + 5 წთ.	
3	პერსონალისა და თანამშრომელთა ევაკუაცია შენობიდან	ადმინისტრაციული სამსახური		სთ + 7 წთ.	
4	ევაკუირებულთა სიების გადამოწმება	ადმინისტრაციული სამსახური		სთ + 25 წთ.	
5	პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით	ადმინისტრაციული სამსახური		სთ + 30 წთ.	საჭიროების შემთხვევაში
6	გაზის, წყალმომარაგებისა და ელექტროგმომარაგების ძირითადი საკეტების ჩაკეტვა	ადმინისტრაციული სამსახური		სთ +15 წთ.	
7	დასახმარებლად მოსული სახანძრო-სამაშველო დანაყოფების დახვედრა და მათი ინფორმირება შექმნილი ვითარების შესახებ	ადმინისტრაციული სამსახური		სთ + 10 წთ	დანაყოფების მოსვლისთანავე

ა ღ დ გ ე ნ ა

ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით, ადგილობრივი საგანგებო შტაბი ორგანიზებას უკეთებს ზარალის შეფასებას და დაზიანებული შენობის სახურავის აღდგენისათვის პირველი რიგის ღონისძიებების შემუშავებას. მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოების მონიტორინგი. მიიღება ზომები მერიის ფუნქციონირების სრულად და უმოკლეს დროში აღდგენის მიზნით.

გასატარებელი აღდგენის ღონისძიებების დეტალური გეგმა
სცენარი შიდა საფრთხის N2 რისკის მიხედვით

№	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი	ღონისძიების განხორციელებაზე დამხმარე პირები	განხორციე-ლების ვადები	შენიშვნა
9.	ქარიშხლის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით შესაბამისი კომისიის შექმნა და მისთვის დავალებების დასახვა	მუნიციპალიტეტის მერი	კომისია	რეაგირების შეწყვეტისთა ნავე	
10.	დაზიანებული შენობის/შენობების აღდგენისათვის პირველი რიგის ღონისძიებების შემუშავება	მუნიციპალიტეტის მერი	კომისია	რეაგირების შეწყვეტიდან 2 საათის განმავლობაში	
11.	აღდგენითი სამუშაოების მონიტორინგი	მუნიციპალიტეტის მერი	ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური	მუდმივად	
12.	მერიის ფუნქციონირების სრულად და უმოკლეს დროში აღდგენის მიზნით ზომების მიღება	მუნიციპალიტეტის მერი	ადმინისტრაციული სამსახური	რეაგირების შეწყვეტიდან12 -სთ-ის განმავლობაში	
13.	დაზიანებული შენობის და მისი ცალკეული ელემენტების რეკონსტრუქცია	მუნიციპალიტეტის მერი	ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახური	სარეაბილიტაციო პერიოდში	